

**ევროპის საბჭო  
მინისტრთა კომიტეტი**

**ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(2001)19 წვერი  
სახელმწიფოებისადმი  
ადგილობრივ საჯარო საქმეებში მოქალაქეთა მონაწილეობის  
თაობაზე**

*(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2001 წლის 6 დეკემბერს მინისტრთა  
მოადგილეების 776-ე შეხვედრაზე)*

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი ევროსაბჭოს წესდების მე-15 “ბ” მუხლის გათვალისწინებით, რომელიც ევროსაბჭოს მიზნად მისი წევრების ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ხელშეწყობას და მეტი ერთიანობის მიღწევას თვლის იმ იდელებისა და პრინციპების დასაცავად და განსახორციელებლად, რომელიც მათს საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს.

ითვალისწინებს რა, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა დემოკრატიის იდეის მამოძრავებელი პრინციპია და რომ დემოკრატიული ღირებულებების ერთგული, თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებების მცოდნე და პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეები ნებისმიერი დემოკრატიული სისტემის სასიცოცხლო ელემენტია;

დარწმუნდა რა, რომ ევროპის ქვეყნებში ადგილობრივი დემოკრატია დემოკრატიის ერთერთი ქვაკუთხედი და მისი გაძლიერება სტაბილურობის ერთერთი ფაქტორია;

აღნიშნავს რა, რომ ადგილობრივ დემოკრატიას გამოწვევებით აღსავსე გარემოში უწევს მუშაობა და ეს გამოწვევები განპირობებულია არამხოლოდ ადგილობრივი მთავრობის ორგანიზაციის სტრუქტურული თუ ფუნქციონალური ცვლილებებით, არამედ გლობალიზაციის პროცესში ევროპაში მიმდინარე რადიკალური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენებით;

აცნობიერებს რა, რომ საზოგადოების მოლოდინები იზრდება, რომ ადგილობრივი პოლიტიკა ფორმას იცვლის, რაც ჩართულობის უფრო პირდაპირ, მოქნილ და ოპერატიულ მეთოდებს მოითხოვს;

ითვალისწინებს რა, რომ გარკვეულ ვითარებაში ხალხის ნდობა მათ მიერ არჩეული ინსტიტუტების მიმართ კლებულობს, რაც საჭიროებს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის და მათს საჭიროებებზე პასუხის ახალი გზების ძიებას გადაწყვეტილების მიღების უფლების ლეგიტიმურობის შესანარჩუნებლად;

აღიარებს რა, რომ მოქალაქეთა ჩართულობის წახალისების უამრავი საშუალება არსებობს და რომ მათი ადაპტირება შესაძლებელია სხვადასხვა ვითარებაში;

ითვალისწინებს რა, რომ მოქალაქეთა უფლება, თავიანთი აზრი გამოხატონ მნიშვნელოვან გრძელვადიან გადაწყვეტილებებზე ან რთულად შესაცვლელ არჩევანზე, რომელიც მოქალაქეთა უმრავლესობას ეხება, ევროსაბჭოს წვერი სახელმწიფოებისთვის საერთო დემოკრატიურ პრინციპს წარმოადგენს;

ითვალისწინებს რა, რომ ამ უფლების გამოყენება ყველაზე პირდაპირ ადგილობრივ დონეზე არის შესაძლებელი და შესაბამისად, მოქალაქეთა ადგილობრივი საკითხების მართვაში უფრო პირდაპირ ჩასართავად ნაბიჯები უნდა გადაიდგას ასეთი მენეჯმენტის ეფექტურობისა და კომპეტენტურობის უზრუნველყოფის გარანტიით;

კიდევ ერთხელ ადასტურებს რა იმ რწმენას, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატია წვერი სახელმწიფოების საერთო მემკვიდრეობის ნაწილს და მოქალაქეთა საზოგადოებრივ საქმეში ჩართულობის საფუძველს წარმოადგენს როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე;

ითვალისწინებს რა, რომ მოქალაქეებსა და ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებს შორის დიალოგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი დემოკრატიისთვის, ვინაიდან იგი ადგილობრივი დემოკრატიული ინსტიტუტების ლეგიტიმაციასა და მათი საქმიანობის ეფექტურობას ზრდის;

ითვალისწინებს რა, რომ სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს მოქალაქეთა ჩართულობის წახალისების საქმეში და რომ, ნებისმიერი “ადგილობრივი დემოკრატიული ჩართულობის პოლიტიკის” წამატება ამ ხელისუფლებების თავდადებაზე დამოკიდებულია;

გაითვალისწინა რა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(81) 18 წვერი ქვეყნებისადმი მუნიციპალურ დონეზე მონაწილეობის შესახებ და ითვალისწინებს რა, რომ მისი მიღების შემდგომ განცდილი ცვლილებები ამართლებს მისი წინამდებარე რეკომენდაციით შეცვლას;

საპარლამენტო ასამბლეის №232(2001) მოსაზრების გათვალისწინებით;

ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის №15(2001) მოსაზრებისა და კონგრესის სათანადო ტექსტების გათვალისწინებით;

წვერ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს:

1. ადგილობრივი და სადაც შესაძლებელია, რეგიონული ხელისუფლებების მონაწილეობით ჩამოაყალიბონ ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობის წახალისების პოლიტიკა 1985 წლის 15 ოქტომბერს საერთაშორისო ხელშეკრულებად მიღებული და დღესდღეობით ევროკავშირის უმეტესი წვერი სახელმწიფოების მიერ რატიფიცირებული ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპის ქარტიის პრინციპებზე და ასევე ამ რეკომენდაციის დანართ 1-ში შესულ პრინციპებზე დაყრდნობით.
2. ასე განსაზღვრული პოლიტიკის კონტექსტში და ამ რეკომენდაციის დანართი 2-ში ჩამოთვლილი ზომების გათვალისწინებით, თავიანთი ძალაუფლების ფარგლებში მიიღონ ზომები ჩართულობის სამართლებრივი საფუძველების გასაუმჯობესებლად და იმ გარანტიით რომ ეროვნული კანონმდებლობა და რეგულაციები ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს უფლებამოსილებას მიანიჭებს გამოიყენონ ჩართულობის ინსტრუმენტების ფართო სპექტრი მინისტრთა კომიტეტის წვერი სახელმწიფოებისადმი ადგილობრივი გადასახადების, ფინანსური გამოთანაბრების და ადგილობრივი

ხელისუფლების გრანტების შესახებ რეკომენდაცია №R(2000) 14-ის I პარაგრაფის შესაბამისად.

3. შესაბამისი ფორმით წახალისონ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება:
  - ხელი მოაწერონ ამ რეკომენდაციის დანართ I-ში შესულ პრინციპებს და ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობის წახალისების პოლიტიკის განხორციელების პასუხისმგებლობა აიღონ;
  - გააუმჯობესონ მოქალაქეთა ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად საჭირო ადგილობრივი კანონმდებლობა და ამ რეკომენდაციის დანართ II-ში ჩამოთვლილი ზომების სათანადო გათვალისწინებით, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ მოქალაქეთა ჩართულობის წამახალისებელი სხვა ზომები.
4. უზრუნველყონ ამ რეკომენდაციის მათი ქვეყნების ოფიციალურ ენაზე/ენებზე თარგმნა მათს მიერ სათანადოდ მიჩნეული ფორმით გამოქვეყნება და ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებამდე მიტანა.

გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალურ დონეზე ჩართულობის შესახებ №R(81)18 რეკომენდაციის ამ რეკომენდაციით შეცვლის შესახებ.

## დანართი I

### ადგილობრივი დემოკრატიული ჩართულობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

1. ადგილობრივი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე სწორ, გასაგებ ინფორმაციაზე წვდომისა და მომავალთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე აზრის გამოხატვის უფლების გარანტირება მოქალაქეებისთვის;
2. სამოქალაქო შეგნების ამაღლებისა და ადგილობრივი საზოგადოებისა და ხელისუფლების მიერ დემოკრატიული მონაწილეობის კულტურის წახალისების ახალი გზების ძიება;
3. საზოგადოების წევრობის შეგრძნების ამაღლება და მოქალაქეთა წახალისება აიღონ საკუთარი საზოგადოების ცხოვრებაში წვლილის შეტანის პასუხისმგებლობა;
4. ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის კომუნიკაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება და ადგილობრივი ლიდერების წახალისება ხელი შეუწყონ მოქალაქეთა ჩართულობას და გაითვალისწინონ მათი მოთხოვნები და მოლოდინები რათა სათანადოდ უპასუხონ მათს მიერ გამოთქმულ საჭიროებებს
5. მოქალაქეთა ჩართულობის საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული მიდგომის შემუშავება ორივე, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტრუმენტებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესისა თუ ადგილობრივი საკითხების მართვაში პირდაპირი მონაწილეობის ფორმების გათვალისწინებით;
6. გამორჩეულად შეუვალი გადაწყვეტილებების თავიდან აცილება და ექსპერიმენტების დაშვება, წესების შემოღებასთან შედარებით ძალაში შესვლისთვის პრიორიტეტის მინიჭება; შესაბამისად, ჩართულობის ინსტრუმენტების ფართო არჩევანის უზრუნველყოფა და მათი ვითარებისდა მიხედვით კომბინირება და ადაპტირება;

7. ადგილობრივ ჩართულობასთან დაკავშირებით, სიტუაციის ძირეული შესწავლით დაწყება, შესაფერისი სტანდარტების დამკვიდრება და მის ყოველ ცვალებასზე მონიტორინგის სისტემის შემოღება მოქალაქეთა ჩართულობის საკითხში პოზიტიური თუ ნეგატიური ტენდენციების გამომწვევი მიზეზების გამოსაველენად და შემუშავებული მექანიზმების ეფექტურობის გაზომვად;
8. მოქალაქეთა ჩართულობის საუკეთესო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის. ადგილობრივი ხელისუფლებების ხელშეწყობა ერთობლივად შეისწავლონ ჩართულობის სხვადასხვა მეთოდის ეფექტურობა და და უზრუნველყონ არსებული შესაძლებლობების მთელი სპექტრის შესახებ საზოგადოების სრულად ინფორმირება;
9. განსაკუთრებული ყურადღების დათმობა იმ კატეგორიის მოქალაქეებისთვის, ვისაც მეტისმეტად უჭირს საზოგადოებრივ საქმეებში აქტიურად ჩართვა ან ვინც დე ფაქტო , ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების მიღმა რჩებიან;
10. ადგილობრივ პოლიტიკაში ქალების თანაბარი წარმომადგენლობის მნიშვნელობის აღიარება;
11. ბავშვებისა და ახალგაზრდობის, როგორც ადგილობრივი საზოგადოების მდგრადი განვითარების პოტენციური ნაწილის აღიარება და მათი მნიშვნელოვანი როლის ხაზგასმა;
12. ასოციაციებისა და მოქალაქეთა ჯგუფების, როგორც ჩართულობის კულტურის განვითარებისა და შენარჩუნების საქმეში ძირითადი პარტნიორისა და დემოკრატიული ჩართულობის პრაქტიკულ განხორციელებაში მამოძრავებელი ძალის როლის აღიარება და წახალისება
13. ყველა ტერიტორიულ დონეზე ადგილობრივი ხელისუფლებების ყველა ერთობლივ მცდელობასთან შეერთება, სადაც თითოეული ხელისუფლება გარკვეული ნაბიჯების გადადგმაზე იქნება პასუხისმგებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად.

## დანართი II

### ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობის წახალისებისა და გაძლიერების ნაბიჯები და ზომები

- ა. ზოგადი ნაბიჯები და ღონისძიებები
  1. დარწმუნება რომ, ასეთ კომპლექსურ და მზარდად გლობალიზებულ მსოფლიოში, საზოგადოებისთვის ახსნილია ადგილობრივი საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების ადეკვატურობა, ცვალებად გარემოში ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის მთავარი ფუნქციების გამოვლენის გზით.
  2. ამ როლების სათანადო ხაზგასმა და აუცილებლობის შემთხვევაში, გადამოწმება ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ ძალაუფლებათა ბალანსი უზრუნველყოფს თუ არა რომ ადგილობრივი ხელისუფლებას და არჩეულ წამომადგენლებს ადგილობრივი საქმიანობის განხორციელებისთვის სათანადო შესაძლებლობები აქვთ, რაც სამოქალაქო ჩართულობისთვის აუცილებელი სტიმული და მოტივაციაა. ამ კონტექსტში, ფუნქციური დეცენტრალიზაციის ყველა შესაძლებლობის გამოყენება, მაგალითად სკოლებთან, საბავშვო ბაღებთან და ბავშვებისა და ჩვილების სხვა დაწესებულებებთან, ხანში შესულებზე ზრუნვის დაწესებულებებთან, საავადმყოფოებთან და ჯანმრთელობის ცენტრებთან, სპორტისა და რეკრეაციის ცენტრებთან, თეატრებთან, ბიბლიოთეკებთან და ა.შ.

დაკავშირებული მეტი პასუხისმგებლობების დელეგირება ადგილობრივი ხელისუფლებისთვის.

3. მოქალაქეობასთან დაკავშირებული განათლების გაუმჯობესება და სასკოლო გეგმებში და სილაბუსებში პასუხისმგებლობების შესახებ განათლების შეტანა, რაც დემოკრატიული საზოგადოების, კონკრეტულად კი ადგილობრივი საზოგადოების თითოეული წევრის მოვალეობაა, ეს იქნება არჩეული წარმომადგენელი, ადგილობრივი ადმინისტრატორი, საჯარო მოხელე თუ რიგითი მოქალაქე.
4. შესაფერისი საშუალებებით, მათ შორის ქცევის კოდექსების მიღებით, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების წახალისება მაღალი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად მოიქცნენ და ამ სტანდარტებთან შესაბამისობა უზრუნველყონ.
5. ადგილობრივი ინსტიტუტებისა და ხელისუფლების საქმიანობის მეტი გამჭვირვალობა, კერძოდ:
  - i. ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფა (ადგილობრივი სათათბიროებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დღის წესრიგების გამოქვეყნება; ადგილობრივი საკრებულოებისა და კომიტეტების სხდომების საჯაროობა; კითხვა- პასუხის რეჟიმი; სხდომების ოქმების, გადაწყვეტილებებისა და ა.შ. გამოქვეყნება)
  - ii. ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე მოქალაქეთა წვდომის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა (საინფორმაციო ბიუროების, დოკუმენტების ცენტრების, საჯარო მონაცემთა ბაზების შექმნა; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; ადმინისტრაციული ფორმალობების გამარტივება, დოკუმენტების ასლების მოპოვების ხარჯების შემცირება და ა.შ)
  - iii. ადმინისტრაციული ორგანოებისა და მათი ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება და მიმდინარე მოვლენებთან პირდაპირ კავშირში მყოფი მოქალაქეების ინფორმირება პროცესის მიმდინარეობისა და ამ პროცესებზე პასუხისმგებელი პირების შესახებ
6. კარგად გამართული საკომუნიკაციო პოლიტიკის გატარება მოქალაქეთათვის საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებისა და მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილების მნიშვნელობის უკეთ გაგების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად და მოქალაქეთა ინფორმირება ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობებისა და ფორმების შესახებ.
7. მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ თუ არაურბანულ ტერიტორიებზე სამეზობლო დემოკრატიის ფორმის ჩამოყალიბება მოქალაქეთათვის ადგილობრივ გარემოსა და მუნიციპალიტეტების საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე მეტი გავლენის უზრუნველსაყოფად, კერძოდ:
  - i. ქვე-მუნიციპალური ერთეულების შექმნა სადაც შესაბამისად არჩეულ წარმომადგენლებს ან მათს შემადგენლობას მრჩეველისა და საინფორმაციო ფუნქციები მიენიჭება და სავარაუდოდ აღმასრულებელი ძალაუფლების დელეგირებაც მოხდება;
  - ii. ქვე-მუნიციპალურ დონეზე ადმინისტრაციული ოფისების შექმნა ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის კონტაქტის გასამარტივებლად;
  - iii. საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებისა და ორგანიზების ინტეგრირებული მიდგომის შემუშავება თითოეულ სფეროში, რაც მოქალაქეთა მოსმენის ნებასა და მათს მიერ გამოთქმულ საჭიროებებზე იქნება დამყარებული

- iv. ადგილობრივი მცხოვრებლების წახალისება პირდაპირ ან სამეზობლო ასოციაციების მეშვეობით ჩაერთონ იმ პროექტების შექმნასა და განხორციელებაში, რომლებიც მათს გარემოს პირდაპირ შეეხება, მაგალითად მწვანე ზონებისა და სათამაშო ეზოების შექმნა და შენარჩუნება, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მხარდაჭერის/თვითდახმარების მექანიზმების შემოღება (ბავშვებზე ზრუნვა, ასაკოვნებზე ზრუნვა და ა.შ).

**ბ. ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობასა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სისტემასთან დაკავშირებული ნაბიჯები და ზომები**

1. ადგილობრივი საარჩევნო სისტემის აუდიტი ფუნდამენტური ხასიათის ხარვეზებისა მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ხმის მიცემის მოტივაციის დამკარგავი საარჩევნო წესების შესამოწმებლად და ამ ხარვეზებისა და წესების გამოსწორების შესაძლებლობების გამოსავლენად.
2. არჩევნებში მონაწილეობის წახალისების მცდელობა. სადაც აუცილებელია, საინფორმაციო კამპანიების ჩატარება ხმის მიცემის წესების ასახსნელად, ამომრჩევლად დასარეგისტრირებლად და ხმის უფლების გამოსაყენებლად მოქალაქეთა მოტივირება. ასევე მისდებარე შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის ცალკეული ნაწილისთვის საინფორმაციო კამპანიების წარმოება.
3. ამომრჩეველთა რეგისტრაციის და ამომრჩეველთა რაოდენობის აუდიტი ზოგად სტანდარტებში რაიმე ცვლილების ან მოქალაქეთა კონკრეტული ჯგუფების ან კატეგორიების არჩევნებში ჩართვაში არსებული პრობლემების გამოსავლენად.
4. ხმის მიცემის უფრო მოსახერხებლად პროცედურად გარდაქმნა თანამედროვე ცხოვრების წესის სირთულისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, მაგ.:
  - i. საარჩევნო უბნების მუშაობის გზების გადახედვა (საარჩევნო უბნების რაოდენობა, მისადგომობა, სამუშაო საათები და ა.შ)
  - ii. ხმის მიცემის ახალი მეთოდების შემოღება წვერი სახელმწიფოების მოთხოვნების გათვალისწინებით (ხმის ნაადრევად მიცემა, ხმის მიცემა ფოსტის საშუალებით, საფსტო ოფისებში, ხმის მიცემა ელექტრონულად და ა.შ)
  - iii. დახმარების სპეციალური ფორმების შემოღება (მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობისთვის) ან ხმის მიცემის სპეციალური წესების შემოღება ამომრჩეველთა კონკრეტული კატეგორიებისთვის (ხმის მიცემა მინდობილობით, შინიდან გაუსვლელად, საავადმყოფოში, ბარაკებსა თუ საპატიმროებში და ა.შ)
5. სადაც აუცილებელია, ხმის მიცემის ახალი წესების გამოსაცდელად საპილოტო სქემების გამოყენება (ან ნების დართვა) ჩაფიქრებული ზომების ეფექტურობის უკეთ გასაზომად)
6. ადგილობრივი არჩევითი ორგანოს კანდიდატების შერჩევის პროცედურების შემოწმება და განსაზღვრა, მაგალითად:
  - i. უნდა იყვნენ თუ არა ამომრჩევლები კანდიდატების შერჩევის პროცესში ჩართულნი მაგალითად, დამოუკიდებელი სიების წარდგენის ან ინდივიდუალური კანდიდატების წარდგენის შესაძლებლობის მიცემით ან ამომრჩეველთათვის ერთი ან ორი პრეფერენციული ხმის გამოყენების შესაძლებლობის მიცემით;

- ii. უნდა ქონდეთ თუ არა ამომრჩევლებს ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების (ხელმძღვანელის) არჩევასა ან დანიშვნაზე მეტი ზეგავლენა; ამის მიღწევა პირდაპირი არჩევნების, მავალდებულებელი რეფერენდუმებისა თუ სხვა მეთოდების გამოყენებით არის შესაძლებელი.
- 7. არჩევითი ორგანოს პლურალურობის საკითხების გადახედვა თანამდებობის ერთდროულად ფლობის თავიდან აცილების ზომების მისაღებად, სადაც ეს მოვალეობების სათანადო შესრულებას შეუშლის ხელს ან ინტერესთა კონფლიქტს გამოიწვევს.
- 8. არჩევითი ორგანოს საქმიანობის პირობების შესწავლა იმის განსასაზღვრად, ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების სტატუსის ესა თუ ის ასპექტი ან უფლებამოსილების განხორციელების პრაქტიკული მდგომარეობა პოლიტიკაში ხარვეზს უშლის თუ არა ხელს. სადაც საჭიროა, ამ დაბრკოლებების თავიდან აცილების ზომების შემუშავება და არჩეული წარმომადგენლებისთვის თავიანთი მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო დროის დახარჯვის შესაძლებლობის მიცემა და კონკრეტული ეკონომიკური ბარიერებისგან გათავისუფლება.

**გ. ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღებისა და ადგილობრივი საკითხების მართვის პროცესში პირდაპირი სამოქალაქო ჩართულობის წახალისების ნაბიჯები და ზომები**

- 1. მოქალაქეებსა და ადგილობრივ არჩეულ წარმომადგენლებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმირება საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა ტექნიკის შესახებ და ასევე, იმ მრავალი მეთოდების შესახებ, რომლითაც საზოგადოებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირი როლის შესრულება შეუძლია. ამ ცოდნის გავრცელება სახელმძღვანელო პრინციპების გამოქვეყნებით (მაგ. ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის ქარტიის ფორმით), კონფერენციებისა და სემინარების გამართვით, გამართული ვებგვერდის შექმნით, რომელშიც საუკეთესო გამოცდილება და წარმატებული მაგალითები გამოქვეყნდება.
- 2. დაკვირვებებისა და დისკუსიების მეშვეობით მოქალაქეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის ინსტრუმენტების ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და ადგილობრივი ხელისუფლების საზოგადოებასთან კომუნიკაციასა და მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უფრო აქტიურად ჩართვის მცდელობებში ინოვაციებისა და ექსპერიმენტების შეტანის მხარდაჭერა.
- 3. სრულად გამოყენება:
  - i. ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა; ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვა საჯარო ორგანოების მიერ(გარდა ტრადიციული და ჯერ კიდევ ღირებულების მქონე მეთოდებისა, როგორცაა ფორმალური საჯარო ცნობები და ოფიციალური საინფორმაციო ფურცლები) არსებული კომუნიკაციის საშუალებების (ინტერაქტიური ვებგვერდები, მრავალარხიანი სამაუწყებლო მედია და ა.შ) სრულად გამოყენების უზრუნველყოფა
  - ii. გადაწყვეტილების მიღების უფრო სათათბირო ფორმებისა, მაგალითად ინფორმაციისა და მოსაზრებების ურთიერთგაცვლით: მოქალაქეთა საჯარო კრებები; მოქალაქეთა ჟიური და სხვა ტიპის ფორუმები, ჯგუფები, სახალხო კომიტეტები, რომლის ფუნქციას რჩევების მიცემა და წინადადებების შეთავაზება წარმოადგენს; მრგვალი მაგიდები, საზოგადოებრივი გამოკითხვები, მომხმარებელთა გამოკითხვები და ა.შ

4. იმ კანონმდებლობის/წესების შემოღება და სადაც საჭიროა გაუმჯობესება, რომლებიც:
  - i. მოქალაქეებს ადგილობრივ საკრებულოებსა და ხელისუფლებაში პეტიციების/წინადადებებისა და საჩივრების შეტანის საშუალებას აძლევს
  - ii. სახალხო ინიციატივების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც არჩეულ ხელისუფლებას მოუწოდებს ინიციატივებში წამოწეულ საკითხებში ჩაებას მოქალაქეთათვის პასუხის გაცემის მიზნით ან რეფერენდუმის პროცედურის ინიცირებისთვის.
  - iii. საკონსულტაციო ან გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო რეფერენდუმის ჩატარების საშუალებას იძლევა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლებები ატარებენ თავიანთივე ინიციატივით ან ადგილობრივი საზოგადოების მოთხოვნის საფუძველზე;
  - iv. მოქალაქეების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებთან, მათ შორის, წარმომადგენლობით ორგანოებთან თანამშრომლობის ინსტრუმენტების გამოყენების საშუალებას იძლევა
  - v. მოქალაქეთა მენეჯმენტში ჩართვის მექანიზმების გამოყენების საშუალებას იძლევა(მომხმარებელთა კომიტეტები, პარტნიორობის საბჭოები, მოქალაქეთა მიერ სერვისების პირდაპირი მენეჯმენტი)
5. მოქალაქეთათვის ადგილობრივ დაგეგმარებასა და უფრო ზოგადად, სტრატეგიულ და გრძელვადიან გადაწყვეტილებებზე მეტი გავლენის მინიჭება; კერძოდ:
  - i. მოქალაქეთათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე ჩართვის შესაძლებლობის მიცემა, ამ პროცესის რამდენიმე ეტაპად დაყოფით (მაგალითად, პროგრამირება, პროექტებისა და ალტერნატივების შექმნა, განხორციელება, საბიუჯეტო და ფინანსური დაგეგმარება);
  - ii. დაგეგმარების პროცესის თითოეული ფაზის ილუსტრირება გამჭვირვალე, გასაგები და საზოგადოებისათვის ადვილად მისაწვდომი საშუალებებით, თუ შესაძლებელია ტრადიციული მეთოდების (რუკები, შკალები, აუდიო-ვიზუალური საშუალებები)გარდა სხვა ახალი მედია ტექნოლოგიების (საზოგადოებისთვის მისაწვდომი CD-რომების, DVD, ელექტრონული დოკუმენტირების ბაზები) გამოყენებით.
6. სისტემატური უკუკავშირის მექანიზმების შემუშავება ადგილობრივი მენეჯმენტის შეფასებასა და გაუმჯობესებაში მოქალაქეთა ჩართვის უზრუნველსაყოფად.
7. უზრუნველყოფა, რომ პირდაპირ მონაწილეობა რეალურ ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. რომ მოქალაქეებს სრული ინფორმაცია აქვთ მათი მონაწილეობის გავლენაზე, რომლის შედეგებიც ხელშესახებია. ჩართულობა, რომელსაც წმინდა სომბოლური დატვირტვა აქვს და უკვე მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციისთვის გამოიყენება ნაკლებსავარაუდოა რომ საზოგადოების მხარდაჭერას მოიპოვებს. ადგილობრივი ხელისუფლება საზოგადოებასთან გულახდილი უნდა იყოს შეთავაზებული პირდაპირი მონაწილეობის ფორმების შეზღუდვებთან დაკავშირებით და თავიდან უნდა აიცილოს მოლოდინების მეტისმეტი გაზრდა რომ ყველა ინტერესი დაკმაყოფილდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა

გადაწყვეტილება ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს ან რესურსების რაციონალურად გამოყენებას ეხება.

8. ბევრ ადგილობრივ საზოგადოებაში არსებული ვოლუნტარისტული განწყობის წახალისება და სათანადოდ შეფასება მაგალითად, არასამეწარმეო, ვოლუნტარისტული ორგანიზაციების, მოქალაქეთა აქტიური ჯგუფებისთვის და ა.შ საგრანტო სქემების ან მხარდაჭერისა და წახალისების სხვა ფორმების საშუალებით ან ამ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის კონტრაქტებისა და შეთანხმებების გაფორმებით ამ მხარეების უფლებების, როლებისა და ურთიერთმოლოდინების შესახებ.

დ. **მოქალაქეთა იმ კატეგორიის წამახალისებელი კონკრეტულ ნაბიჯები და ზომები, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო უძნელდებათ ჩართულობა**

1. მოქალაქეთა სხვადასხვა კატეგორიების ჩართულობის შესახებ რეგულარული ინფორმაციის შეგროვება და დაზუსტება, რამდენად არიან წარმოდგენილი ქალები, ახალგაზრდები, არაპრივილეგირებული სოციალური ჯგუფები და გარკვეული პროფესიული ჯგუფები არჩევით ორგანოში და /ან რა როლს თანაშობენ არჩევნებსა თუ მონაწილეობის პირდაპირ ფორმებში.
2. მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენლობაზე და/ან მონაწილეობაზე გარკვეული დონის მიღწევის დასახევა მიზნად და მათი ჩართულობის გასაზრდელად სპეციალური ზომების პაკეტების შემუშავება, მაგალითად:
  - ა. მოქალაქეთა ამ ჯგუფებისათვის აქტიური კომუნიკაციისა და ინფორმაციის პლიტიკის გატარება, სადაც საჭიროა, კონკრეტული მედია კამპანიების წარმოება მათი ჩართულობის წახალისებლად (მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა კომუნიკაციის ენის, მედიისა და კამპანიის სტილის შერჩევას თითოეული ჯგუფის საჭიროებების შესაბამისად)
  - ბ. ჩართულობის სპეციალური ინსტიტუციონალური ფორმების შემოღება სადაც შესაძლებელია, მოქალაქეთა იმ ჯგუფთან თუ ჯგუფებთან კონსულტაციების შედეგად, რომლის ჩართულობის წახალისებაც არის მიზნად დასახული (კონკრეტული ჯგუფების კონკრეტულ საჭიროებებზე საპასუხოდ შესაძლებლობათა დიდი არჩევანი არსებობს, მაგალითად შეხვედრების, კონფერენციებისა თუ თანამშრომლობის უამრავი ფორმის სახით)
  - გ. სპეციალურად “გარიყული” ჯგუფების საკითხებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, რომელიც მათს მოთხოვნებს შესაბამის გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს გადასცემს და ჯგუფებს ამ საკითხებზე არსებული პროგრესისა და პასუხების (დადებითი თუ უარყოფითი) შესახებ მათივე მოთხოვნისდა საფუძველზე ინფორმაციას მიაწვდის.
3. კონკრეტულად ქალებთან დაკავშირებით:
  - i. გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალთა სათანადო წარმომადგენლობის მნიშვნელობის ხაზგასმა და იმ პირობების გათვალისწინება, რაც ქალებს გაუადვილებს ოჯახური და სამუშაო ცხოვრების აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებასთან კომბინირებას.
  - ii. სამართლებრივი შესაძლებლობის პირობებში, სავალდებულო ან რეკომენდებულ ქვოტების სისტემის შემოღების გათვალისწინება ერთიანი დივერსიფიკაციის მქონე ადამიანების მინიმალური ოდენობის შესახებ საარჩევნო სიაში და/ან ადგილობრივ საკრებულოებში

ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებაში და ადგილობრივი ორგანოების მიერ ფორმირებულ სხვადასხვა კომიტეტებში და საბჭოებში ქალებისთვის არსებული ადგილების რაოდენობის შესახებ.

4. კონკრეტულად ახალგაზრდებთან დაკავშირებით:
  - ი. ახალგაზრდების მონაწილეობისა და დემოკრატიული განათლების პროცესისთვის სკოლის, როგორც მნიშვნელოვანი საერთო არენას ჩამოყალიბება
  - იი. “ბავშვთა საკრებულობის” და “ახალგაზრული საკრებულობის” ტიპის ინიციატივების წახალისება მუნიციპალურ დონეზე, როგორც ადგილობრივი მოქალაქეობის შესახებ განათლების მიღების უდავოდ გამოსადეგი საშუალება, რაც ამავე დროს საზოგადოების ყველაზე ახალგაზრდა წევრებთან დიალოგის საშუალებას იძლევა.
  - იიი. ხალგაზრდული ასოციაციების წახალისება, კერძოდ, თემში ჩართულობის მოქნილი ფორმებისა და სტრუქტურების შემუშავების მხარდაჭერა, მაგალითად ახალგაზრდული ცენტრების საშუალებით, რომელშიც ახალგაზრდების შესაძლებლობები სრულად იქნება გამოყენებული პროექტების შექმნისა და განხორციელების საქმეებში.
  - ივ. ადგილობრივ არჩევნებში Xმის მიცემისა თუ კენჭისყრის, ადგილობრივ რეფერენდუმებში, კონსულტაციებსა და სახალხო ინიციატივებში მონაწილეობის ასაკის შემცირების შესაძლებლობის განხილვა
  - ვ. 1992 წელს, ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის მიერ მიღებული მუნიციპალურ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობის შესახებ ევროპის ქარტიაში შემოთავაზებული უამრავი სხვა ტიპის ინიციატივების გამოყენების განხილვა
5. კონკრეტულად უცხოელებთან დაკავშირებით, ადგილობრივი თემის ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობის წახალისება  
არადისკრიმინაციულ საფუძველზე, 1992 წლის ადგილობრივ დონეზე საჯარო ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ 1992 წლის ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად. მაშინაც კი, როდესაც მისი მოთხოვნები სახელმწიფოებისთვის იურიდიულად მავალდებულებელი არ არის, ამ კონვენციაში ხსენებული მექანიზმების პათოსის გათვალისწინებით.